

უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერილობა განმარტავს, თუ როგორ შეიძლება, უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენებამ და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის (SSR) გათვალისწინებამ ხელი შეუწყოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების (WPS) დღის წესრიგით დასახული მიზნების მიღწევას.

ბოლო ათწლეულის განმავლობაში გაერომ და სხვა სახელმწიფო თუ საერთაშორისო აქტორებმა აღიარეს, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში გასათვალისწინებელია გენდერთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, უნდა დადგინდეს და გადაიჭრას ქალებისა და კაცების, გოგონებისა და ბიჭების საჭიროებები უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით მიუხედავად იმისა თუ რომელი თემის წარმომადგენლები არიან ისინი. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის ზოგიერთი პროგრამა პრიორიტეტად განსაზღვრავს უსაფრთხოების სექტორში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობას. ამავდროულად, საჭიროა, გაძლიერდეს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში მომუშავე საზოგადოების ჩართულობა უსაფრთხოების სექტორის მმართველობის საკითხებში. აღნიშნული პოლიტიკის მოკლე აღწერილობა განმარტავს, რომ უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების კონტექსტში დაეხმარება მნიშვნელოვანი ბარიერების, ასევე, ცვლილებების ხელშეწყობი ფაქტორების გამოვლენას.

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერილობა:

- ◆ განმარტავს უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპებს;
- ◆ იკვლევს, თუ როგორ აისახება უსაფრთხოების სექტორის მმართველობა და რეფორმა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგში;
- ◆ მიმოიხილავს, თუ როგორ შეუძლია უსაფრთხოების სექტორის მმართველობით მიდგომას, ბიძგი მისცეს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის რეალიზაციისთვის საჭირო ტრანსფორმაციულ და მდგრად ცვლილებებს.

რას ნიშნავს უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა?

ტერმინი „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა“ აღწერს ყველა იმ სტრუქტურის, ინსტიტუციისა და აქტორის ოფიციალურ და არაოფიციალურ ზეგავლენას, რომლებიც ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე აწოდებენ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სერვისებს, ასევე, უზრუნველყოფენ მართვასა და ზედამხედველობას. მმართველობა, ხარისხის თვალსაზრისით, შესაძლებელია იყოს როგორც კარგი, ასევე ცუდი. უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა მიიღწევა მაშინ, როცა ქვემოთ ჩამოთვლილი კარგი მმართველობის პრინციპები ქვეყნის უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორზე ვრცელდება.¹

- ◆ ანგარიშვალდებულება: არსებობს მკაფიო მოლოდინი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, რასაც დამოუკიდებელი ორგანოები ზედამხედველობენ, და თუკი ეს მოლოდინი არ მართლდება, გარკვეულ სანქციებს აწესებენ. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორი ანგარიშვალდებულები არიან, რომ გაითვალისწინონ მოსახლეობის ყველა ნაწილის განსხვავებული საჭიროებები.

- ◆ **გამჭვირვალობა:** ინფორმაცია დაუბრკოლებლად ხელმისაწვდომია მათთვის, ვისზეც გავლენას მოახდენს მიღებული გადაწყვეტილებები და მათი შემდგომი განხორციელება.
- ◆ **კანონის უზენაესობა:** თითოეული ადამიანი და ინსტიტუტი, სახელმწიფოს ჩათვლით, ვალდებულია, დაემორჩილოს კანონებს, რომლებიც: ხელმისაწვდომი და საჯაროა საზოგადოებისთვის; რომელთა აღსრულება ხდება მიუკერძოებლად და შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნულ ნორმებსა და სტანდარტებს. კანონის უზენაესობა მოითხოვს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას ყველასთვის – ქალების, კაცების, ბიჭების, გოგონებისა და სხვადასხვა გენდერული იდენტობის წარმომადგენლებისთვის.
- ◆ **მონაწილეობა:** ნებისმიერი წარმომავლობის ადამიანს, სქესის, გენდერის, გენდერული იდენტობისა ან სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად, შეუძლია მონაწილეობა უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში (უშუალოდ თუ წარმომადგენლობითი ინსტიტუტების საშუალებით), ასევე, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტებში.
- ◆ **ადეკვატური რეაგირება:** უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტები რეაგირებას ახდენენ მოსახლეობის სხვადასხვა წარმომადგენლის მოთხოვნებზე სქესის, გენდერის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციისთვის ჯეროვანი ყურადღების დათმობით (თუმცა, არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაცია ამ ნიშნებით).
- ◆ **ეფექტურობა:** უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტები ასრულებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს, პასუხისმგებლობებსა და ამოცანებს მაღალ პროფესიულ დონეზე, მოსახლეობის სხვადასხვა წარმომადგენლის განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებით.
- ◆ **ეფექტიანობა:** უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტები უზრუნველყოფენ არსებული საჯარო რესურსების საუკეთესო გზით გამოყენებას მათი დანიშნულების, პასუხისმგებლობებისა და ამოცანებიდან გამომდინარე.

თითოეული ზემოაღნიშნული პრინციპის დაკმაყოფილება მოითხოვს სოციალური ძალაუფლებისა და უთანასწორობის გათვალისწინებას. განსაკუთრებით, ადეკვატური რეაგირების, ეფექტურობის და მონაწილეობის პრინციპების დაცვა და კანონით გათვალისწინებული მიუკერძოებლობისა და ადამიანის უფლებათა სტანდარტებთან თავსებადობა საჭიროებს, რომ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორმა გაითვალისწინოს გენდერული ასპექტები და მხარი დაუჭიროს გენდერულ თანასწორობას.

იქ, სადაც მიზანი უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობაა, მისი მიღწევის საუკეთესო საშუალება უსაფრთხოების სექტორის რეფორმაა, ან უსაფრთხოების სექტორის ტრანსფორმაცია. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ასახავს ცვლილებისთვის საჭირო პოლიტიკურ და ტექნიკურ პროცესებს, რაც უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპების გამოყენებით მიიღწევა.² სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლისა და კანონის უზენაესობის, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვის კონტექსტში უსაფრთხოება, მართვა და ზედამხედველობა მის ეფექტურობასა და ანგარიშვალდებულებას ზრდის. აღნიშნული პროცესი კი, თავისთავად, სახელმწიფოსა და ადამიანების უსაფრთხოებას აუწყობს. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ვრცელდება ყველა სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორზე, რომლებიც ჩართულები არიან უსაფრთხოების სერვისის მიწოდების, მართვისა და ზედამხედველობის პროცესში. უსაფრთხოების სექტორის რეფორმის დროს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მათ ფუნქციებს, ვალდებულებებსა და ქმედებებს შორის კავშირებს ანგარიშვალდებულებისა და მმართველობის გასაუმჯობესებლად. უსაფრთხოების სექტორის რეფორმა ასევე მოიცავს მართლმსაჯულების სისტემის უზრუნველყოფის, მართვისა და ზედამხედველობის ასპექტებს.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ შეიძლება მოიცვას რეფორმებთან დაკავშირებული სხვადასხვა საქმიანობა, რომლებიც შეიცავს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების პოლიტიკურ და ტექნიკურ ასპექტებს, როგორცაა საკანონმდებლო ინიციატივები, პოლიტიკის შემუშავება, ცნობიერების ამაღლება, საზოგადოების ინფორმირების მიზნით წარმოებული კამპანიები, ასევე, მმართველობა და ადმინისტრაციული შესაძლებლობების განვითარება. მიუხედავად იმისა, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებმა შესაძლოა მოითხოვოს სხვადასხვა აქტორის ჩართვა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, უპირველეს ყოვლისა, იგი წარმოადგენს ეროვნულ პროცესებს და ეროვნულ დონეზე უნდა იყოს გათავისუფლებული. ეს მისი წარმატებისა და მდგრადობის წინაპირობაა. ინსტიტუციურ დონეზე უსაფრთხოების სექტორის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის სერვისების მიღების, ასევე შიდა და გარე ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, შეიძლება მოიცვას შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება და შესაძლებლობების განვითარება.

ხშირად, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა პოსტ-კონფლიქტური ან არასტაბილური სახელმწიფოების პრიორიტეტს წარმოადგენს, თუმცა უსაფრთხოების სექტორის მმართველობის ხარისხი რელევანტურია ყველა კონტექსტისთვის, კარგად განვითარებული სახელმწიფოებისა და სტაბილური დემოკრატიის მქონე ქვეყნების ჩათვლით. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგისგან განსხვავებით, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა არ წარმოადგენს მხოლოდ კონფლიქტებთან ასოცირებული ქვეყნებისთვის გათვალისწინებული პრიორიტეტების ჩამონათვალს.

უსაფრთხოების კარგი მმართველობა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმა კარგად არის ახსნილი DCAF-ის პუბლიკაციებში.

როგორც ქვემოთ იქნება მოცემული, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ვალდებულებათა განხორციელებასთან დაკავშირებული მრავალი გამოწვევის (რომლებიც დოკუმენტირებულია გლობალური განხილვისა და შესწავლის შედეგად) გადალახვა შესაძლებელია მხოლოდ უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პირობებში. შესაბამისად, უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი უნდა მოიაზრებოდეს, როგორც ერთმანეთის გამძლიერებელი პროცესები. უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპებიდან მიღებული კარგი პრაქტიკა ხელს უწყობს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის შესრულებას და საფუძველს უყრის მნიშვნელოვან ცვლილებებს.

როგორ აისახება უსაფრთხოების სექტორის რეფორმა და კარგი მმართველობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგში?

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს 10 რეზოლუციიდან 5 უსაფრთხოების სექტორის რეფორმას ეხება (იხ. გრაფიკი N1). აქედან 4 უსაფრთხოების სექტორის რეფორმას აკავშირებს კონფლიქტების დროს სექსუალურ ძალადობაზე რეაგირებასა და პრევენციასთან. აღნიშნული რეზოლუციების თანახმად, უსაფრთხოების სექტორის რეფორმა მოიცავს ქმედებებს ქალებისა და გოგონების სექსუალური ძალადობისგან დასაცავად, სექსუალურ ძალადობაზე უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის რეაგირებისა და პრევენციის გასაუმჯობესებლად და დაუსჯელობის სინდრომის აღმოსაფხვრელად. უსაფრთხოების სექტორის პრიორიტეტად ითვლება უსაფრთხოების სექტორში მეტი ქალის მონაწილეობა სექსუალური ძალადობის საკითხის მოსაგვარებლად, ისევე, როგორც უსაფრთხოების სექტორის არსებული და პოტენციური თანამშრომლების შესაბამისობის დადგენა. საერთო ჯამში, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ადასტურებს, რომ უსაფრთხოების სექტორის რეფორმამ ხელი უნდა შეუწყოს ქალების დაცვას ძალადობისგან, ასევე მათ მონაწილეობას და მართლმსაჯულებაზე წვდომას.

გრაფიკი 1: ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში არსებული მითითებები უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებით



2014 წელს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებული 2151-ე რეზოლუცია უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესახებ ხაზს უსვამს ქალების თანაბარი და ეფექტიანი მონაწილეობისა და ჩართულობის საჭიროებას უსაფრთხოების სექტორის რეფორმაში, მათ შორის, უსაფრთხოების სექტორში მეტი ქალის დასაქმების და მოძალადეთა გამოვლენისა თუ განრიდების მიზნით ინფორმაციის გადამონმების აუცილებლობას.

უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული ამ კონკრეტული მითითებების გარდა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემა წარმოდგენილია, როგორც უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტორი გენდერული პერსპექტივის მქონე მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. ამ რეზოლუციებში არ არის გამოყენებული ტერმინი „უსაფრთხოების სექტორის მმართველობა“, თუმცა მის ძირითად პრინციპებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. *მონაწილეობა* ფუნდამენტური პრინციპია როგორც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის, ასევე უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობისათვის. ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგისთვის მნიშვნელოვანი დაცვის პრინციპი ასევე ასახულია *ადეკვატური რეაგირებისა და ეფექტურობის* პრინციპებშიც: მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევა უსაფრთხოების სექტორი კარგად მართულად, როდესაც იგი ეფექტიანად რეაგირებს ქალებისა და გოგოების, ასევე, კაცებისა და ბიჭების საჭიროებებზე. შემდეგ ნაწილში ნაჩვენებია, აღნიშნული მსგავსების გარდა, რა ურთიერთდამოკიდებულებაა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგსა და უსაფრთხოების სექტორის მმართველობას შორის.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმები (WPS NAPs) ასევე ცხადყოფენ კავშირს უსაფრთხოების სექტორის რეფორმასა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგს შორის. კონფლიქტ-გამოვლილი ქვეყნები ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ხშირად ყურადღებას ამახვილებენ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორზე, „დონორი ქვეყნები“ კი თავიანთ ეროვნულ სამოქმედო გეგმებში ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ითვალისწინებენ ვალდებულებას, რომ მხარს დაუჭერენ უსაფრთხოების სექტორის რეფორმას კონფლიქტურ და პოსტკონფლიქტურ სიტუაციებში. ცხრილში N1 მოცემულია ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული მაგალითები.

ცხრილი 1: ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნულ სამოქმედო გეგმებში უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული ვალდებულებების მაგალითები

ქვეყანა (ეროვნული სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდი)	უსაფრთხოების სექტორის რეფორმასთან დაკავშირებული ვალდებულებები
ავღანეთი (2015-2022)	ამოცანები მოიცავს „უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემაში გენდერთან დაკავშირებულ რეფორმებს“, როგორც ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის საშუალებას და უზრუნველყოფს ქალთა უფლებების დაცვასა და პოლიტიკურ მონაწილეობას.
ბრაზილია (2017-2019)	აქტივობები მოიცავს „უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესებში ადგილობრივი ინსტიტუტების მხარდაჭერას, გოგოებისა და ქალთა უფლებების დაცვასა და პოპულარიზაციას კანონის უზენაესობის გაუმჯობესების გზით“ (DCAF, <i>ნათარგმნია პორტუგალიურად</i>).
ლიბერია (2009-2013)	„მიმდინარეობს უსაფრთხოების სექტორის პოლიტიკური მექანიზმების შეფასება და რეფორმა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ქალთა სრული მონაწილეობა უსაფრთხოების სექტორში და განხორციელდეს ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია ქალთა უფლებებისა და უსაფრთხოების დასაცავად“/„საკითხზე მგრძობელობის გაზრდა და მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლების მიზნით ადვოკატირება, ასევე უსაფრთხოების სექტორში დასაქმებული ქალების რაოდენობის გაზრდა“/„გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესახებ პროგრამების კოორდინირება“.
ჩრდილოეთ მაკედონია (2013-2015)	მოსალოდნელი შედეგები მოიცავს „გენდერულად მგრძობიარე მიდგომის ჩართვას უსაფრთხოების პოლიტიკის შემქმნის პროცესში ... განსაკუთრებით, უსაფრთხოების სექტორის, პოლიციის, თავდაცვის, კრიზისების მართვის, სამოქალაქო თავდაცვის, საზღვრის ინტეგრირებული მართვის რეფორმებით“.
სამხრეთ სუდანი (2015-2020)	სტრატეგიული მიზანი 2 „ხელს უწყობს უსაფრთხოების სექტორის რეფორმას და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების პროფესიონალიზმის გაზრდას, რათა მათი საშუალებით მოხდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის განხორციელება“.
შვეიცარია (2018-2022)	„ ... აგრძელებს უსაფრთხოების სექტორის მხარდაჭერას, რომელიც ითვალისწინებს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საჭიროებას, როგორცაა ჯგუფური ძალადობისგან თავდაცვა, ოჯახური ძალადობა და ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)....“
დიდი ბრიტანეთი (2018-2022)	„მხარს უჭერს გოგოებისა და ქალებისთვის გაუმჯობესებული თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამართლიანობის უზრუნველყოფას, განსაკუთრებით, გენდერული ძალადობის დროს; უსაფრთხოების სექტორში ქალების დასაქმების, შენარჩუნებისა და დანინაურების შესაძლებლობათა გაზრდას; ისეთი ინსტიტუტების შემქმნას, რომლებსაც შესაძლებლობა და სურვილი ექნებათ, გამოავლინონ გენდერთან დაკავშირებულ კონკრეტულ ხარვეზები და უთანასწორობა უსაფრთხოების უზრუნველყოფისას და რეაგირება მოახდინონ მათზე“.

ამონარიდები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ სხვადასხვა ეროვნული სამოქმედო გეგმიდან - ქალთა საერთაშორისო ლიგა მშვიდობისა და თავისუფლებისათვის (WILPF), ვებ-გვერდი <http://peacewomen.org>, აპრილი 2019.

როგორ ეხმარება უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის მიდგომა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მიზნების განხორციელებას?

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ამოცანების შესასრულებლად, სამოქალაქო საზოგადოების, მთავრობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ა.შ. 20-წლიანი მუშაობის შემდეგ, ადგილობრივმა და საერთაშორისო კვლევებმა მთელი რიგი გამოწვევები დაადგინა.³ წინამდებარე თავი განიხილავს, თუ როგორ შეუძლია უსაფრთხოების სექტორის მმართველობის მიდგომას პროგრესის ხელშეწყობა სამ მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორცაა: გოგოების და ქალების უფლებების დაცვა, უსაფრთხოების სექტორში ქალთა მონაწილეობის გაზრდა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა განხორციელებისადმი.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი, როგორც სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების ჭრილში აღებული ვალდებულება

კონფლიქტების დროს ქალებისა და გოგოების დაცვა სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისგან ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის უმთავრესი პრიორიტეტია. ზემოაღნიშნული განმარტების თანახმად, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში სამართლიანად არის ხაზგასმული უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის რეფორმის როლი სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მასზე ადეკვატური რეაგირების კუთხით. ძლიერ პოლიტიკურ მხარდაჭერას და ადვოკატირებას, რომელსაც თან სდევს აღნიშნული პრობლემის ირგვლივ სასურველი გაშუქება და რესურსების მობილიზება, ზოგიერთ კონტექსტში გაუთვალისწინებელი შედეგები მოაქვს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ძალისხმევაზე ფოკუსის შემცირების თვალსაზრისით.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მრავალი მხარდაჭერი თვლის, რომ კონფლიქტების, პოლიტიკური, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური პრობლემების მოსაგვარებლად, საჭიროა სტრუქტურული გარდაქმნა. შესაბამისად, ძალისხმევა უნდა გაძლიერდეს გენდერული თანასწორობისა და გენდერთი განპირობებული ძალაუფლების დისბალანსის მოსაგვარებლად, რის გამწვავებაც ხელს უწყობს კონფლიქტები.⁴

უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ფარგლებში აღებულ ვალდებულებებთან მიმართებით, ხაზს უსვამს, რომ „დაცვა“ მხოლოდ სექსუალური ძალადობისგან ან მხოლოდ ძალადობისგან დაცვას არ გულისხმობს. უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის უფლებამოსილებაში შედის კანონის წინაშე ქალების, ვაცების, გოგოებისა და ბიჭების თანასწორობის უზრუნველყოფა. ამგვარად, „დაცვა“ უნდა მოიცავდეს დისკრიმინაციის აღმოფხვრას ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა მინის ფლობა, დასაქმება, მემკვიდრეობა, განათლება და ჯანდაცვა. ქალთა ეკონომიკური და სოციალური უფლებების რეალიზაცია აუცილებელი წინაპირობაა ძალადობისგან ქალებისა და გოგოების დასაცავად და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის უფრო ფართო ხედვის - მშვიდობისა და უსაფრთხოების მისაღწევად.

ქალების სამშვიდობო პროცესებში მონაწილეობა და წვლილის შეტანის შესაძლებლობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მონაწილეობის პრინციპის მნიშვნელოვანი ასპექტია. სხვა უფლებებთან ერთად, ის ისეთ წინაპირობებსაც საჭიროებს, როგორცაა კანონის წინაშე თანასწორობა, უსაფრთხოება, ძალადობისგან დაცვა, განათლებაზე ხელმისაწვდომობა, თავისუფლება და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

უსაფრთხოების სექტორში ინსტიტუციური კულტურისა და პრაქტიკის გარდაქმნა

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ ხაზს უსვამს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალთა მონაწილეობას სამშვიდობო, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე უსაფრთხოების საკითხებში გადაწყვეტილებათა მიღებასა და უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში. ეუთო-ს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის სამოქმედო გეგმაში ხაზგასმულია, რომ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით გენდერული მენისტრინგი სხვადასხვა საქმიანობაში, პოლიტიკაში, პროექტსა და პროგრამაში უნდა ითვალისწინებდეს გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325-ის მოწოდებას ქალთა მონაწილეობის გაზრდასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, კონფლიქტის პრევენციისა და კონფლიქტის შემდგომ პროცესებში.⁶

ეროვნულ დონეზე ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმების უმრავლესობა მოიცავს ვალდებულებებს უსაფრთხოების სექტორში ქალების რაოდენობის გაზრდის შესახებ, განსაკუთრებით, პოლიციაში, შეიარაღებულ ძალებსა და სამშვიდობო ოპერაციებში. მრავალი ქვეყნის პოლიციამ და შეიარაღებულმა ძალებმა შეიმუშავეს გენდერთან დაკავშირებული პოლიტიკა და სათანადო ზომები მიიღეს ქალების დასაქმებისათვის. ამ მიზნით, მათ შეცვალეს პირადი შემადგენლობის დაკომპლექტების კრიტერიუმები და პროცესები, ასევე ამოქმედეს ოჯახზე ორიენტირებული პოლიტიკა და მიზანმიმართული შერჩევის კამპანიები. გაერო და ორმხრივი პროგრამები, რომლებიც მხარს უჭერენ გენდერული საკითხების ინტეგრირებას უსაფრთხოების სექტორის რეფორმის პროცესში, ან ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების განხორციელებას, ზოგჯერ ხელს უწყობენ ქალების შერჩევას ან ქალთა შემადგენლობისთვის შესაძლებლობების გაძლიერებას.

თუმცა, უსაფრთხოების სექტორში ქალების რაოდენობა კვლავ საგრძნობლად ჩამორჩება კაცების რიცხვს.* ბევრ ქვეყანაში უფრო მეტი ქალი იწყებს პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებში სამსახურს, თუმცა არასახარბიელო სტრუქტურული გარემოებების გამო, მათი შენარჩუნება ვერ ხერხდება. ქალები ხშირ შემთხვევაში ძალზე არაპროპორციულად არიან თავმოყრილი დაბალი რგოლის პოზიციებზე და სამსახურების დატოვებაც ხშირად უნევთ, ვინაიდან მათი უნარები არ არის ეფექტიანად გამოყენებული, ასევე, მათ მიმართ იკვეთება დისკრიმინაციული დამოკიდებულება და პოლიტიკა, სექსუალური შევიწროება, ასევე სამუშაოსა და ოჯახური ვალდებულებების დაბალანსების სირთულე.⁷ აღნიშნული გამოწვევების დასაძლევად უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება საშუალებას იძლევა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ფოკუსი ქალთა მონაწილეობაზე ინსტიტუციურ კულტურასა და პრაქტიკაში გადავიდეს, რაც აღნიშნული დღის წესრიგის ფართო მიზნების მიღწევისთვის არის საჭირო.

ინსტიტუციური ღირებულებები და კულტურა, მართვისა და ზედამხედველობის მექანიზმებთან ერთად, პირადი და პროფესიული კეთილსინდისიერების მისაღწევად, პერსონალსა და ინსტიტუტებს მაღალ ანგარიშვალდებულებას აკისრებს. ეს უსაფრთხოების სექტორის რეფორმისა და კარგი მმართველობის ძირითად საზრუნავს წარმოადგენს. უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება უსაფრთხოების სექტორში ქალების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისთვის შემდეგი ასპექტების გათვალისწინების მნიშვნელობაზე აკეთებს აქცენტს.

პატრიარქალური ინსტიტუციური კულტურის გამოწვევა ქალთა მონაწილეობისა და, ზოგადად, მრავალფეროვნების გასაზრდელად

უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტები, გარდა იმისა, რომ, ძირითადად, კაცებითაა დაკომპლექტებული, სიმბოლურად მაშაკაცურობასთან ასოცირდება და მის კულტივირებას ახდენს. შესაბამისად, ქალების შენარჩუნება საჭიროებს ქმედებებს იმ ინსტიტუციური სტრუქტურების, პრაქტიკისა და კულტურის გამოაშკარავებისა და ტრანსფორმაციის მიზნით, რომლებიც პასიურად ახდენენ ქალების დისკრიმინაციასა და მარგინალიზაციას. ეს ნიშნავს, რომ უსაფრთხოების სექტორში პატრიარქალური ინსტიტუციური კულტურის სრულმასშტაბიანი ტრანსფორმაცია უნდა მოხდეს. მეტიც, ამ სექტორში გენდერული თანასწორობის მიღწევა პირდაპირ კავშირშია ისეთი ინსტიტუციური კულტურისა და სამუშაო პრაქტიკების ხელშეწყობასთან, რომლებიც ინკლუზიური, არადისკრიმინაციული და მრავალფეროვნების მიმდებლობით ხასიათდება. მნიშვნელოვანია ბალანსის დაცვა არა მარტო ქალ და კაც პერსონალს შორის, არამედ ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა ნიშნის მიხედვითაც, რათა საზოგადოება უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი.

შიდა კონტროლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები უსაფრთხოების სექტორში

უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებში გაძლიერებული მართვის მექანიზმებს პოტენციალი აქვთ, რომ შეძლონ გენდერულ მიკერძოებულობასა და დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, პრევენცია და ახალი ინსტიტუციური კულტურის იდეალების განხორციელება. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს:

- ◆ ბიოგრაფიული მონაცემების შემოწმებასა და ინფორმაციის მოძიებას წარსულში პირის მიერ გენდერული ძალადობის შემთხვევათა დასადაგენად;
- ◆ პროფესიული უნარების შეფასებას ქალებისა და სხვა ჯგუფების კონკრეტული უნარებისა და მნიშვნელობის განსაზღვრის მიზნით, რასაც უსაფრთხოების სექტორისთვის უფრო მეტი სარგებლის მოტანა შეუძლია;
- ◆ მტკიცე პოლიტიკის, ეფექტიანი გასაჩივრების სისტემების, შეტყობინებისა და დისციპლინური მექანიზმების არსებობას, რომლებიც უკავშირდება გენდერს, სექსუალურ ორიენტაციას, გენდერულ იდენტობას ან თვითგამოხატვას, ასევე, რასას, ეთნიკურ და რელიგიურ წარმოშობას, ასაკსა და შეზღუდულ შესაძლებლობებს;
- ◆ სამუშაო ძალის მრავალფეროვნების პოლიტიკის შეფასებასა და სტატისტიკური მონაცემების რეგულარულ შეგროვებასა და ანალიზს.⁸

ყველა აღნიშნული პროცესი უნდა იყოს გარე მონიტორინგისა და ზედამხედველობის საგანი, რაც აღწერილია ქვემოთ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებასთან დაკავშირებით.

ანგარიშვალდებულებას და ინსტიტუციური სტრუქტურების, პროცესებისა და პრაქტიკების კონტროლს, რომლებიც უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის პრინციპებს ეფუძნება, შეუძლია, აღმოფხვრას ნაკლოვანებები ქალების სამსახურში მიღების, შენარჩუნებისა და დანიშნულების მხრივ, რაც მდგრად ინსტიტუციურ განვითარებას უზრუნველყოფს. თავის მხრივ, მდგრადი ინსტიტუციური განვითარება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის მთავარი მიზანს წარმოადგენს.

*იხ. მონაცემები, რომლებიც მოცემულია გენდერისა და უსაფრთხოების სახელმძღვანელოს პრაქტიკული მითითებების კრებულში N 2,3,4,6, და 14.

ინსტიტუციური და ფინანსური ანგარიშვალდებულების ზედამხედველობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებისათვის

დღესდღეობით, 80-ზე მეტ ქვეყანას აქვს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმა. ამ გეგმების უმეტესობაში იდენტიფიცირებულია მისი განხორციელებისთვის საჭირო პროცესები და ღონისძიებები, რამდენიმეში კი ასახულია მკაფიო ინდიკატორები, ვადები, პასუხისმგებლობის სფეროები და მონიტორინგის მექანიზმები. ეს უზრუნველყოფს მათი დანერგვისათვის საჭირო გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას.⁹ 2019 წლის იანვრის მდგომარეობით, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების 79 ეროვნული სამოქმედო გეგმიდან მხოლოდ 34-ს (43%) ჰქონდა დამტკიცებული მისი განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტი.¹⁰ უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში ანგარიშვალდებულების მექანიზმები სუსტია ქალების მიმართ სექსუალური ძალადობისა და დანაშაულის შემთხვევებში, რომლის აღმოფხვრაც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ერთ-ერთ კონკრეტულ მიზანს წარმოადგენს.

ანგარიშვალდებულების პროცესის წარუმატებლობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პოლიტიკით ან სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული დანაშაულებებით: ანგარიშვალდებულების ნაკლებობა ვრცელდება იქ, სადაც უსაფრთხოების სექტორის მმართველობა არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, აღნიშნული გამოწვევების გადალახვა, რაც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებას უკავშირდება, მეტ აქტიურობას საჭიროებს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში ანგარიშვალდებულების კულტურის გასაუმჯობესებლად და ამ მიზნით შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და მექანიზმების განსავითარებლად.

უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება უსაფრთხოების სექტორის რეფორმისა და კარგი მმართველობის უმაჯრესი ინტერესის საგანია. ანგარიშვალდებულების ხელშეწყობი ზომები ხშირად განაპირობებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას საჯარო განხილვისათვის, აუდიტის ჩატარებას, უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების დამოუკიდებელ ინსპექტირებასა და ზედამხედველობას, რისი განხორციელებაც შეუძლია პარლამენტსა თუ სამოქალაქო საზოგადოებას. ანგარიშვალდებულება ნიშნავს, რომ პიროვნება პასუხს აგებს საკუთარ საქციელზე და იმაზე, თუ როგორ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობებს, რაც შესაბამისი მექანიზმებით უნდა რეგულირდებოდეს. ყოველდღიურმა მენეჯმენტმა უნდა უზრუნველყოს, რომ არამართლმომიერი ქცევა ან საჯარო რესურსების არამართებული ხარჯვა ისჯებოდეს, საჭიროების შემთხვევაში კი - სისხლისსამართლებრივი გამოძიებაც დაიწყოს.

უსაფრთხოების სექტორის მმართველობის მიდგომა ხელს უწყობს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიმართ ანგარიშვალდებულების გაზრდას, უსაფრთხოებასა და მართლმსაჯულების სექტორის მიერ აღებულ ვალდებულებებზე შიდა და გარე ზედამხედველობის მეშვეობით, ასევე, მონიტორინგისა და ანგარიშგების მდგრადი მექანიზმებით. უსაფრთხოების სექტორის მმართველობის მიდგომა ხაზს უსვამს შიდა საკოორდინაციო და მონიტორინგის სტრუქტურებისა და გარე ზედამხედველობის მნიშვნელობას ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების სამოქმედო გეგმების განხორციელების პროცესში, როგორც ეს განმარტებულია ქვემოთ.

შიდა საკოორდინაციო და მონიტორინგის სტრუქტურები

ძალზე მნიშვნელოვანია ისეთი მექანიზმის არსებობა, რომლებიც ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელებაში ჩართულ ძირითად სამთავრობო უწყებებსა და, საუკეთესო შემთხვევაში, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს უყრის თავს. არსებობს საკოორდინაციო მოდულების სხვადასხვა ვარიანტები.¹¹ საკოორდინაციო პროცესმა უნდა მოიცვას რეგულარული შეხვედრები, რაც სტადარტულ ანგარიშგებას მოითხოვს ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან მიმართებით. მაგალითად, ბოსნია და ჰერცეგოვინას აქვს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის საკოორდინაციო საბჭო, მკაფიოდ განერილი კომპეტენციით, რომელიც სხვადასხვა სამინისტროსა და უსაფრთხოების სექტორის სააგენტოსგან შედგება. საკოორდინაციო საბჭო ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნულ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, შეაფასოს ისინი და ყოველწლიური ანგარიში წარუდგინოს საპარლამენტო ასამბლეას ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ.¹²

გარე ზედამხედველობა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან

მთელ რიგ სახელმწიფო უწყებებს აქვთ ან შესაძლოა ჰქონდეთ უფლებამოსილება, შეამოწმონ, თუ რამდენად სრულდება გენდერული თანასწორობისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ აღებული ვალდებულებები. იგივე ვრცელდება შესაბამის ეროვნულ სამოქმედო გეგმებზეც. აღნიშნულ უწყებებში ერთიანდებიან: საპარლამენტო კომიტეტები, ფინანსური ზედამხედველობის ორგანოები, ომბუდსმენის ინსტიტუტები და ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები (NHRIs). მათ ეწოდებათ „გარე ზედამხედველობა“, ვინაიდან აღნიშნული ორგანოები არ არიან უსაფრთხოების სექტორის უწყებები და შესაბამისი სამინისტროებს პასუხს სთხოვენ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ.

პარლამენტის როლი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებაზე მონიტორინგის ჩატარებაში იზრდება. მაგალითად, ასე ხდება პარლამენტების იმ 68 პროცენტის შემთხვევაში, რომლებიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეა.¹³ შრი-ლანკაში საპარლამენტო კომიტეტმა სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხზე საჯარო მოსმენა ჩაატარა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ; სამინისტროებს წარედგინათ შეკითხვები გენდერულ თანასწორობასა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებული ბიუჯეტირებისა და გეგმების შესახებ.¹⁴ საპარლამენტო უსაფრთხოებისა და თავდაცვის კომიტეტები ასევე აქტიურად უნდა უწევდნენ მონიტორინგს უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტების მიერ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების კუთხით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა შესრულების ზედამხედველობა და საპარლამენტო მონიტორინგი, შესაძლოა, საპარლამენტო დებატების, კომიტეტის შეხვედრებისა და მოსმენების საშუალებით ჩატარდეს; ასევე, მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლებისთვის შეკითხვების დასმით და ანგარიშების გამოქვეყნებით. დამატებით ინფორმაციის მისაღებად, იხილეთ პრაქტიკული მითითებების მე-7 კრებული უსაფრთხოების სექტორისა და გენდერის საპარლამენტო ზედამხედველობის შესახებ.

ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების განხორციელების საპარლამენტო ზედამხედველობას უნდა დაემატოს **ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები** და **ომბუდსმენის ინსტიტუტების** მიერ განხორციელებული ზედამხედველობა. **ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები** დამოუკიდებელი ორგანოებია, რომლებიც სათანადო საკონსტიტუციო ან საკანონმდებლო აქტით (ასევე, ცნობილია, როგორც ადამიანის უფლებათა კომისია ან თანაბარი შესაძლებლობების კომისია) არის დაფუძნებული. ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები უფლებამოსილები არიან, დაიცვან და ხელი შეუწყონ ქალთა უფლებებსა და გენდერულ თანასწორობას. ბევრ ქვეყანაში **ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული ინსტიტუტები** შეიქმნა დისკრიმინაციასთან, ქალთა უფლებებსა და/ან თანასწორობასთან დაკავშირებული საკითხების მოსაგვარებლად, როგორცაა თანაბარი შესაძლებლობების კომისია, ან სქესის ნიშნით დისკრიმინაციის კომისარია. ომბუდსმენის ინსტიტუტები წარმოადგენენ ოფიციალურ ორგანოებს, რომელსაც ომბუდსმენი უძღვება (მას, შესაძლოა, ჰქონდეს სხვა სახელწოდება, მაგალითად, „სახალხო დამცველი“ ან „მოქალაქეთა დამცველი“). ომბუდსმენის კანდიდატურას, ძირითადად, მთავრობა ან პარლამენტი ამტკიცებს, მაგრამ მათ მინიჭებული აქვთ დამოუკიდებლობა. ომბუდსმენის ინსტიტუტებს ეკისრებათ საზოგადოების ინტერესების წარმოდგენა და არაეფექტიან მართვასთან დაკავშირებულ საჩივრებსა და უფლებათა დარღვევებზე რეაგირება. მრავალ ქვეყანაში ომბუდსმენის ინსტიტუტი დაარსდა უსაფრთხოების სექტორის ინსტიტუტებზე, მათ შორის, პოლიციასა და შეიარაღებულ ძალებზე ზედამხედველობის მიზნით.

ადამიანის უფლებათა ეროვნული ინსტიტუტები და ომბუდსმენის ინსტიტუტები წარმოადგენენ სათანადო უწყებებს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორების მიერ ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა განხორციელებაზე მონიტორინგის გასაწევად. როგორც წესი, მათ აქვთ ინფორმაციაზე წვდომა და შესაბამისი უფლებამოსილება, მიიღონ და რეაგირება მოახდინონ საჩივრებზე, ჩაატარონ გამოკვლევები, გაიარონ კონსულტაციები სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფთან, მოამზადონ ანგარიშები და რეკომენდაციები.¹⁵ საქართველოში, მაგალითად, სახალხო დამცველი გამოსცემს ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ მონიტორინგის ყოველწლიურ ანგარიშს, სადაც შეფასებულია აღნიშნული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყებების აქტივობები და მიღწეული შედეგები. 2017 წლის ანგარიშში მოყვანილია პასუხისმგებელ უწყებებში სამუშაო ჯგუფებთან ჩატარებული შეხვედრები, ასევე დევნილ ქალებთან გამართული საკონსულტაციო შეხვედრები და დისკუსიები არასამთავრობო ორგანიზაციებთან.¹⁶

გარე ზედამხედველობა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან

არასამთავრობო სექტორს ასევე შეუძლია, ხელი შეუწყოს და დამოუკიდებელი მონიტორინგი ჩაუტაროს უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორის ინსტიტუტების მიერ გენდერული თანასწორობისა და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, თუკი მათ სათანადო წვდომა ექნებათ ინფორმაციასა და პოლიტიკურ სივრცეზე. სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (CSOs), სამეცნიერო წრეები, ანალიტიკური კვლევების ცენტრები და მედია - უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სექტორზე დემოკრატიული ზედამხედველობის გაწევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მექანიზმია გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველსაყოფად. ეს, თავისთავად, გახლავთ უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობის ქვაკუთხედი და ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის *მონაწილეობისა* და *დაცვის* პრინციპი. მნიშვნელოვანია ქალთა ორგანიზაციების მონაწილეობაც, იმ ორგანიზაციების ჩათვლით, რომლებიც აერთიანებენ შემლუღული შესაძლებლობების მქონე ქალებს; ლტოლვილ და მიგრანტ ქალებს; სხვადასხვა რასის წარმომადგენელ ქალებს; ქალებს, რომლებმაც განიცადეს არატოლერანტული დამოკიდებულება და დისკრიმინაცია რწმენის საფუძველზე; და ქალებს, რომლებიც შევიწროებისა ან დისკრიმინაციის მსხვერპლი არიან სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის ან თვითგამოხატვის გამო; მნიშვნელოვანია სხვა ორგანიზაციების მონაწილეობაც, რომლებიც უმცირესობის ჯგუფებში მყოფ ქალებს წარმოადგენენ.¹⁷

უსაფრთხოების სექტორის რეფორმა განაპირობებს მშვიდობის შენარჩუნებას. უსაფრთხოების აქტორებს მრავალი მნიშვნელოვანი ბერკეტი აქვთ მშვიდობის უზრუნველსაყოფად. ეს იარაღსა და ხელბორკილებს სცდება. ნაცვლად ამისა, მათ აქვთ საშუალებები საზოგადოებისთვის კონფლიქტის ასაცილებლად.

მოროსლავ ლაიჩაკი, გაეროს გენერალური ასამბლეის პრეზიდენტი, მაღალი დონის შეხვედრა „მრავალი მაგიდის“ ფორმატში უსაფრთხოების სექტორის რეფორმის და მშვიდობის შენარჩუნების შესახებ, 2018 წლის 23 აპრილი; 2019 ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე.

ბევრ ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და მეცნიერები ერთობლივი ძალისხმევითა და მათ ხელთ არსებული კომპეტენციების გამოყენებით ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ვალდებულებათა შესრულებაზე ახორციელებენ მონიტორინგსა და ზედამხედველობას. მაგალითად, 1325 Network Finland არის პლატფორმა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების 12 ორგანიზაციასა და მკვლევარებს აერთიანებს. აღნიშნული პლატფორმა გამოყენებული იყო ფინეთის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების პირველი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და დამოუკიდებელი მონიტორინგის დროს. ასევე, აღნიშნული პლატფორმა საჯარო დისკუსიებს და სხვა არასამთავრობო აქტორების ტრენინგებს უწევს ორგანიზებას.¹⁸

დასკვნა

2030 წლის დღის წესრიგი და მდგრადი განვითარების მიზნები ცხადყოფს, რომ კანონის უზენაესობა, კარგი მმართველობა და განვითარება აუცილებელი წინაპირობაა მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ფაქტობრივად, უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა და რეფორმა მნიშვნელოვან როლს ასრულებს მშვიდობის მიღწევის პროცესში.

აქედან გამომდინარე, უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის განხორციელების ქვაკუთხედიანია. ის აუმჯობესებს ქალების (როგორც ერთიანი ჯგუფის) მდგომარეობას და ზრდის მათ მონაწილეობას. ასევე მოიცავს ქალებისა და გოგონების დაცვას სექსუალური და გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობისგან და სრულ და თანაბარ მონაწილეობას უსაფრთხოებისა და თავდაცვის ინსტიტუტებსა თუ გადაწყვეტილების მიღების პროცესებში. ამგვარად, უსაფრთხოების სექტორის კარგი მმართველობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს კონფლიქტის პრევენციისა და მშვიდობის განმტკიცებასთან დაკავშირებული მიზნების განხორციელებაში. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოება და გადაწყვეტილებების მიმღები პირები ეროვნულ დონეზე უნდა იყენებდნენ ურთიერთგამაძლიერებელ მიდგომებს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების და ზოგადად, უსაფრთხოების სექტორის მმართველობის მიმართ: აქ იგულისხმება პოლიტიკა და სტრატეგია, პროცესები და სტრუქტურები, ასევე, მონიტორინგისა და ზედამხედველობის განხორციელება.

წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერილობა აჩვენებს, თუ როგორ შეუძლია უსაფრთხოების სექტორის მმართველობის პერსპექტივას, პრინციპებსა და კარგ პრაქტიკას, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების მიზნების მიღწევისათვის ახალი მიდგომების შეთავაზება. დამატებით, ინსტიტუციურ უფლებამოსილებებზე, ღირებულებებსა და კულტურაზე, შიდა და გარე ზედამხედველობასა და ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებულ მექანიზმებზე ფოკუსირებას, ასევე, ადამიანის უფლებათა გასაუმჯობესებლად ფიზიკური დაცვის მიღმა გახედვას შეუძლია, ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ძალისხმევა უფრო ტრანსფორმაციულ დონეზე გადაიყვანოს.

შენიშვნები

1. DCAF (2015), უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის SSR სერიიდან. ვენეცია: შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ვენეციის ცენტრი DCAF.
2. DCAF (2015), უსაფრთხოების სექტორის მმართველობა, უსაფრთხოების სექტორის რეფორმის SSR სერიიდან. ვენეცია: შეიარაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლის ვენეციის ცენტრი DCAF.³
3. გლობალური და რეგიონული ანალიზის მაგალითები მოიცავს კონფლიქტის პრევენციას, მართლმსაჯულების სისტემის განვითარებას, მშვიდობის დაცვას - გლობალურ კვლევას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 განხორციელების შესახებ, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2015). ნიუ-ორკი: UN Women; ჯორჯთაუნის ინსტიტუტი ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება და ოსლოს კვლევითი ინსტიტუტი მშვიდობის შესახებ (2017), ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების ინდექსი 2017/18: ქალებისთვის ჩართულობის, სამართლიანობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა მდგრადი მშვიდობის შენარჩუნების მიზნით. ვაშინგტონი: GIWPS და PRIO; ს.ი დევიზის და ჯ. თორუ (2019), ოქსფორდის ცნობარი ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის. ნიუ იორკი: ოქსფორდის საუნივერსიტეტო პრესა; C. Ormhaug (2014), ეუთოს კვლევა გაეროს უშიშროების საბჭოს 1325-ე რეზოლუციის შესრულების ეროვნულ სამოქმედო გეგმებზე. ოსლო: PRIO; ფ. ოლონისაკინი, ს. ჰენდრიკსი და ა. ოკეი (2015), "The convergence and divergence of three pillars of influence in gender and security", აფრიკის უსაფრთხოების მიმოხილვა 24(4): 1-14; მ. დონადიო და ჯ. რიალი (2015), ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგი მისი განხილვის პერიოდში. ბუენოს აირისი: RESDAL/ლათინური ამერიკის უსაფრთხოებისა და თავდაცვის სტრუქტურა. WinG India და APWAPS (2015), პერსპექტივების სექტორი: UNSCR 1325 მიმოხილვა და ანალიზი აზია წყნარი ოკეანის რეგიონში. ნიუ დელი: WinG India და APWAPS.
4. მაგალითად, იხილეთ პ.ა მედი და ა.ჯ. კანგი (2018), "Power, knowledge and the politics of gender in the global South", პოლიტიკის და გენდერის ევროპული ჟურნალი 1(1): 37-53; პ. ჰადსონი (2017), "The power of mixed messages: Women, peace and security language in national action plans from Africa", აფრიკული სექტორი 52; სეიფუორლდი (2015), "Reviving conflict prevention in 1325", წარდგენილი მასალა გლობალური კვლევისთვის ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ. ლონდონი: სეიფუორლდი; ლ. ჯ. შეფარდი (2016), "Making war safe for women? National action plans and the militarisation of the Women, Peace and Security Agenda", საერთაშორისო პოლიტიკურ-სამეცნიერო მიმოხილვა 37(3): 324-335.
5. იხილეთ, მაგალითად ვ. ჰადსონი, ბ. ბალიფ-სპანელი, მ. კაპრიოლი და ს. ვემტი (2012), სქესი და მშვიდობა მსოფლიოში. ნიუ-იორკი: კოლუმბიის საუნივერსიტეტო პრესა; WILPF (undated), "Does gender equality lead to peace? Fact sheet building on the Global Study on 1325".
6. უფრო მეტიც, ეუთოს მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება 14/05 ქალები კონფლიქტის პრევენციის დროს, კრიზისების მენეჯმენტისა და პოსტ-კონფლიქტური რეაბილიტაციის შესახებ, ეუთოს მონაწილე ქვეყნებს რეკომენდაციას აძლევს, უზრუნველყონ ქალების სრული ინფორმირებულობა და მხარდაჭერა კონფლიქტის პრევენციისა და პოსტკონფლიქტური რეაბილიტაციის პროცესებთან დაკავშირებულ პოზიციებზე განცხადების შეტანისა, განსაკუთრებით, მაღალი რგოლის თანამდებობებზე.
7. მაგალითად, ს. ატკინი (2018), ანგარიში სანჯისი კვლევის შესახებ: ქალები შეიარაღებულ ძალებში ეუთო-ს რეგიონში. ვარშავა: ეუთო; ქალებისა და პოლიტიკის ეროვნული ცენტრი (2001), ქალების რეკრუტირება და მათი შენარჩუნება: თვითშეფასების სახელმძღვანელო მართლმსაჯულების უწყებებისთვის. ლოს-ანჯელესი, CA: NCWP, გვ. 133; ჯ. ბრაუნი (1996), "Integrating women into policing: A comparative European perspective", მ. ფეიგონი (ed.) საპოლიციო შედეგადგელობა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში: თვითმხილველ მონშეთა ჩვენებების შედარება დასავლეთის გამოცდილებასთან. ლიუბლანა: პოლიციისა და უსაფრთხოების სწავლების კოლეჯი, გვ. 627-633.
8. იხილეთ მ. ბასტიკი (2011), თვითშეფასების სახელმძღვანელო გენდერის შესახებ პოლიციის, შეიარაღებული ძალებისა და მართლმსაჯულების სექტორისათვის. ვენეცია: DCAF; ს. ქრომპოეტის (2019) შეიარაღებულ ძალებში გენდერზე ორიენტირებული ორგანიზაციული კლიმატის შეფასება. ვენეცია: DCAF.
9. გაეროს ქალთა ორგანიზაცია, იხილეთ ზემოთ მოყვანილი შენიშვნა 3; ორმშაუგი, შენიშვნა 3, გვ. 14.
10. WILPF Peace Women ვებ-გვერდი (თარიღის გარეშე) "Member States".
11. იხილეთ მ. ლიპაი და ა. იანგი (2017), ეროვნული სამოქმედო გეგმების შედგენა: სახელმძღვანელო რეზოლუცია 1325 იმპლემენტაციის შესახებ. ვაშინგტონი: ინკლუზიური უსაფრთხოება.
12. ა. რამშაკი (2015), გაეროს უსაფრთხოების სექტორის რეზოლუცია 1325: „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებსა და სლოვენიაში. ლიუბლანა: ეკვილიბის ინსტიტუტი.
13. ს. ფერბაჩი და ა. რიივესი (2018), ნატოს წევრ ქვეყნებში პარლამენტის როლი „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ დღის წესრიგის შესრულებაში: ნატოს საპარლამენტო ასამბლეის კვლევა. ვენეცია: DCAF.
14. UNDP (2011), "How Parliaments can work with women to create peace".
15. შემდგომი ინფორმაციისთვის იხილეთ მ. ბასტიკი (2014) უსაფრთხოების სექტორზე ზედამხედველობისას გენდერული ასპექტების ინტეგრირება ომბუდსმენისა და ეროვნული უფლებადამცველი ინსტიტუტების მხრიდან. ვენეცია: DCAF, OSCE, OSCE/ODIHR.
16. საქართველოს სახალხო დამცველი (2017), „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება“ ეროვნული სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ - მონიტორინგის შედეგები. თბილისი: გაეროს ქალთა ორგანიზაცია.
17. იხილეთ პრაქტიკული მითითების მე-9 კრებული "Civil society oversight of the security sector and gender", DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW (2008), სახელმძღვანელო გენდერისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმის შესახებ. ვენეცია: DCAF, OSCE/ODIHR, UN-INSTRAW.
18. გ. ოდანოვიჩი (2013), სამოქალაქო საზოგადოების როლი UNSCR 1325 რეზოლუციის იმპლემენტაციისთვის ეროვნული სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებაში. ბელგრადი: BCSP website of 1325 Network Finland.
19. Finland.

ავტორები: მარტა გიტონი, ლეა ლეჩოუკი და მეგან ბასტიკი.

მადლიერების ნიშნად:

DCAF, OSCE ODIHR და UN Women მადლობას უხდის ფარალი ჩაპუსის, აიკო ჰოლვიკის და ავინო ოკენს პოლიტიკის მოკლე აღწერილობის სამუშაო ვერსიის გადახედვისათვის; ასევე, გრამიელა პავონს (OSCE ODIHR), ბრედ ორჩარდს (UN Women), ლორენ სერანოსა და ანა-ლენა შლუშტერს (DCAF) კომენტარებისათვის.

DCAF მადლიერებას გამოხატავს შვეიცარიის კონფედერაციისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის UK DFID მიმართ წინამდებარე პოლიტიკის მოკლე აღწერილობის გამოცემასთან დაკავშირებით.

გამოცემა შეიარაღებულ ძალების დემოკრატიული კონტროლის ვენეციის ცენტრის მიერ (DCAF).

შეიარაღებულ ძალებზე დემოკრატიული კონტროლის ვენეციის ცენტრი (DCAF), ვენეცია.
PO Box 1360
CH-1211 ვენეცია 1
შვეიცარია

ISBN 92-9222-488-3

© DCAF, OSCE ODIHR, UN Women, 2019

ამ გამოცემის გამოყენება, თარგმნა და გავრცელება ნებადართულია. მიუხედავად ამისა, გთხოვთ, აღნიშნოთ და მიუთითოთ გამოყენებული მასალა.

ციტირება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: DCAF, OSCE ODIHR, UN Women (2019). „უსაფრთხოების სექტორის მმართველობითი მიდგომის გამოყენება ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების საკითხებში“, სახელმძღვანელო გენდერისა და უსაფრთხოების შესახებ.

აღნიშნული სახელმძღვანელო გამოცემა ეუთოს/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) მიერ. სახელმძღვანელოს მინარსი შესაძლოა არ ასახავდეს OSCE/ODIHR პოლიტიკას და პოზიციას.